

**ხანგრძლივი ზრუნვის გამოცდილება საქართველოს და
ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე**

თამარ ლომთაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის
აკადემიური დოქტორი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

აბსტრაქტი

მნიშვნელოვანია ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა მსოფლიოს მასშტაბითა და საქართველოში, ამიტომ უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას პასუხი, რა სიტუაციაა საქართველოში ხანგრძლივი ზრუნვის მიმართულებით, რა ღონისძიებებია შესამუშავებელი და როგორ უნდა გაიზარდოს ხანგრძლივი ზრუნვის საჭიროების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხი.

კვლევის მიზანია შეფასდეს შეფარდება ხანგრძლივ სამედიცინო ზრუნვის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რა პრობლემებია და როგორი ვითარებაა მოხუცთა თავშესაფრებში. როგორია საქართველოს მდგომარეობის შესაბამისი მოთხოვნა მოხუცთა პანსიონატებსა, დღის ცენტრებსა, კლუბებში და რამდენი სოციალურად დაუცველი, უსახლკარო მოხუცი ვერ იღებს საჭირო მომსახურებას.

ნაშრომში აღწერილია საქართველოში ხანგრძლივი ზრუნვის შემდეგი კომპონენტები: მოხუცთა პანსიონატები და დღის ცენტრები. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხანგრძლივი ზრუნვის მიმართულებით არსებული სიტუაცია.

სახელმწიფო და კერძო დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების ბენეფიციართა რაოდენობის შეფარდება საქართველოს ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობასთან. რა სირთულებების გადალახვა უწევთ მოხუცებს, რომ ისარგებლონ მოხუცთა თავშესაფრით და როგორ ცხოვრობენ პანსიონატებში მოხვედრილები.

ნაშრომში განხილულია ექსპერტთა გამოკითხვის შედეგები. განხილულია პანსიონატების და დღის ცენტრების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები.